ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/15

დაბა ქედა, **30 სექტემბერი, 2022 წელი**

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 11:55 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 18.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/15 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

30 სექტემბერი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის №01-06/15 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გათვალისწინებით, აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების 2017 წლის 10 ნოემბრის №12 ხელშეკრულებით განსაზღვრული ფინანსური პირობების შემსუბუქებისა და პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

თავმჯდომარემ განმარტა, რომ 2022 წლის 29 სექტემბერს საკრებულოში შემოვიდა ორი საკითხი:

1) ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

2) ,,ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სტუდენტთა დახმარების პროგრამის შემუშავების თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი" (ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს ინიცირება).

შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგში აღნიშნული ორი საკითხის დამატებას:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი-0

აქედან გამომდინარე სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოდგენილი ორი საკითხის დამატებით ხელახალი დღისწესრიგის პროექტი წარუდგინა საკრებულოს წევრებს და დაყენა კენჭისყრაზე:

1. საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გათვალისწინებით, აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების 2017 წლის 10 ნოემბრის №12 ხელშეკრულებით განსაზღვრული ფინანსური პირობების შემსუბუქებისა და პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის

მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სტუდენტთა დახმარების პროგრამის შემუშავების თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს ფრაქცია
„ნაციონალური მოძრაობა"-ს
თავმჯდომარე: დავით სირაბიძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი -0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის №01-06/15 მორიგი სხდომის დღის-წესრიგი.

აზრი გამოთქვეს:

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ განცხადება გააკეთა, ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ახალგაზრდული საბჭოს შექმნის იდეის თაობაზე, რომლის მიზანი იქნებოდა ადგილობრივი ახალგაზრდების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდების ზოგადი აქტივობის მოტივაციის ამაღლებას.

საკრებულოს წევრმა მინდია არძენაძემ იკითხა დანდალო-ტაკიძეების გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მდგომარეობის შესახებ, ასევე სოფელ ხარაულაში სოფლის საერთო სარგებლობაში არსებული სარიტუალო ინვენტარის სათავსოსთვის რატომ არ გამოიყო თხუთმეტიათასი ლარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ სოფელ ხარაულაში სოფლის საერთო სარგებლობაში სარიტუალო ინვენტარის სათავსოს გამოსაყოფ თხუთმეტი ათას ლართან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული თანხა 2022 წლისთვის მონაწილეობითი ბიუჯეტითა განსაზღვრული და შესაბამის ვადებში განხორციელდება.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარემ დავით სირაბიძემ იკითხა სოფელ კვაშტაში წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ დანდალო-ტაკიძეების გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებდა და დაზუსტებულ ინფორმაციას ამ ეტაპზე ვერ მიაწვდიდა, რაც შეეხება სოფელ კვაშტაში წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, აღნიშნულ პრობლემაზე მერსა და ადგილობრივ მხცოვრებლებს შორის დიალოგი შედგა, თუმცა საკითხი ჯერ არ გადაჭრილა.

1. **მოისმინეს: საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გათვალისწინებით, აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული**

მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების 2017 წლის 10 ნოემბრის №12 ხელშეკრულებით განსაზღვრული ფინანსური პირობების შემსუბუქებისა და პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გათვალისწინებით, აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების 2017 წლის 10 ნოემბრის №12 ხელშეკრულებით განსაზღვრული ფინანსური პირობების შემსუბუქებისა და პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95222591-95 16.09.2022 წელი) და განმარტა, რომ საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გათვალისწინებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების - მოქალაქე ეთერი ჯიჯავაძის 2017 წლის 10 ნოემბერს დადებული №12 ხელშეკრულებით განსაზღვრული ფინანსური პირობების შემსუბუქების შესახებ, კერძოდ: ნაწილობრივ 2020 წლის დარჩენილი გადაუხდელი წლიური საიჯარო ქირის 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის, 2021 წლის წლიური საიჯარო ქირის 3162 (სამი ათას ას სამოცდაორი) ლარის გადახდისგან გათავისუფლების, ასევე 2022 წლის საიჯარო ქირის (3162 (სამი ათას ას სამოცდაორი ლარის)) 50%-ის ოდენობამდე შემცირებისა და გადაუხდელ საზღაურზე (საიჯარო ქირაზე) დარიცხული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს (რომელიც შეადგენს გადაუხდელი საზღაურის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე) გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

აზრი გამოთქვეს:

მომხსენებლის მიერ საკითხის წარმოდგენის შემდგომ საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს პანდემიის დროს თუ მომხდარა მსგავსი საკითხის განხილვა საკრებულოში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რეზო თურმანიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს გააგრძელებდა თუ არა საქმიანობას მოქალაქე ეთერ ჯიჯავაძე.

კითხვებთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე პანდემიის დროს პრემიერ-მინისტრის დადგენილებით ისედაც შეღავათები ვრცელდებოდა კერძო სექტორზე. მგსავსი ტიპის განცხადება აქამდე საკრებულოს არ განუხილია. რაც შეეხება მოქალაქე ეთერ ჯიჯავაძის საქმიანობის გაგრძელებას, მუნიციპალიტეტის მერია ამის შესახებ წინასწარ ინფორმირებული ვერ იქნებოდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება №გ-95.95222731, 30.09.2022 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95222724-95 29.09.2022 წელი) და განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადასცეს შემდეგი სახის უძრავი ქონება - „სოფლის ამბულატორიები", კერძოდ:

ა) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისში მდებარე 219 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული ერთი ერთეული შენობა-ნაგებობა (№1-ის შენობის განაშენიანების ფართი 123.21 კვ.მ) (ს/კ: 21.02.32.003);

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში მდებარე 211 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული ერთი ერთეული შენობა-ნაგებობა (№1-ის შენობის საერთო ფართი 123.10 კვ.მ) (ს/კ; 21.06.32.003);

გ) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარჯანისში მდებარე 203 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული ერთი ერთეული შენობა-ნაგებობა (№1-ის შენობის განაშენიანების ფართი 123.10 კვ.მ) (ს/კ: 21.07.32.003).

დასახელებული უძრავი ქონებები სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით უნდა გადაეცეს შემდგომში ა(ა)იპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს (ს/ნ:402157330) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის პირობით.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს ითვალისწინებდა თუ არა საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი ამბულატორიების მშენებლობას მუნიციპალიტეტში, რადგანაც დაბა ქედის ამბულატორიის შენობა ამ ეტაპზე ძალიან შეუსაბამო და გამოუსადეგარია სამუშაო პროცესისთვის, მისი აზრით, იქ მედპერსონალის ყოფნა და მუშაობა შეურაცმყოფელიც კი იყო.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ ორი კითხვით მიმართა მომხსენებელს, პირველი რატომ მოხდა ასხუთი ათასი ლარის გამოყოფა 2022 წლის ბიუჯეტიდან სოფელ პირველი მისისა და ზვარის ამბულატორიების რესტავრაციისათვის თუ ამ შენობების გადაცემა ჰოლდინგისთვის იგეგმებოდა, მეორე იგეგმება თუ არა სამომავლოდ ამბულატორიებში მომუშავე მედდებზე ხელფასების ზრდა.

კითხვასთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგთან მოლაპარაკებები 2022 წლის აგვისტოს თვიდან მიმდინარეობდა და ამას წინასწარ ვერ განსაზღვრავდნენ. ამბულატორიაში მომუშავე მედდების ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ უპასუხა, საუბარი არის ამ თემაზე თუცა ჯერ არაფერი არ არის გადაწყვეტილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №g-95.95222732, 30.09.2022 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სტუდენტთა დახმარების პროგრამის შემუშავების თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა დავით სირაბიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სტუდენტთა დახმარების პროგრამის შემუშავების თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №95-95222725 29.09.2022 წელი) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის პროექტის მიღების მიზანია ფინანსური დახმარება გაუწიოს ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტებს მათ წინაშე მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული პრობლემების გადაჭრაში. ზემოთ აღნიშნული პროექტი აგრეთვე სტუდენტებს მისცემს დამატებით შესაძლებლობას და ამაღლებულ მოტივაციას დაეუფლონ სასურველ პროფესიას სრულყოფილად და გამოიყენონ მიღებული ცოდნა სამომავლოდ ქვეყნის კიდევ უფრო განვითარებაში. სტუდენტთა დახმარების პროგრამა თავისი არსით მოიცავს იმ წარმატებულ სტუდენთა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადად 500 ლარით დახმარებას, რომელთა აკადემიური მოსწრების ქულაა 81-100 (100 ქულიანი შეფასების სისტემიდან).

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რამდენი სტუდენტია 2022 წელს ჩარიცხული მუნიციპალიტეტიდან.

რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტიდან ამ დროისათვის რესურსცენტრის მონაცემებით 110 სტუდენტი იყო ჩარიცხული.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დაბალქულიან სტუდენტებზე მოხდეს დახმარების გაწევა, რადგანაც სახელმწიფო დაფინანსებას (გრანტი) ვერ იღებდნენ.

მომხსენებელმა დავით სირაბიძემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სიმწირიდან გამომდინარე ყველა სტუდენტზე ვერ მოხერხდებოდა ფინანსურად დახმარების გაწევა, ამიტომ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-მ მხოლოდ წარმატებულ სტუდენტებზე გააკეთა აქცენტი, რაც მისი თქმით, ერთგვარი წახალისება და მოტივაცია იქნებოდა სამომავლოთ ყველა სტუდენტისათვის.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკითხის ინიციატორს განუმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერია უკვე თვეებია მსგავს საკითხზე მუშაობდა, თუმცა ფინანსური მხარეები ქმინდა პრობლემას საკითხის განსახორციელებლად, რადგან 2022 წლის ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში ამ ეტაპზე არ იყო შესაბამისი ფინანსური რესურსი მის შესასრულებლად.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საკრებულოს უფლება ჰქონდა მუნიციპალიტეტის მერიაში წინადადების წარდგენის, ხოლო მისი ბიუჯეტში შეტანა და კრიტერიუმების განსაზღვრა შემდეგაც იქნებოდა შესაძლებელი.

არჩილ გორგილაძემ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისთვის ცნობილი იყო მსგავსი პროექტის შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე, სადაც კვარტალში

ერთხელ სტუდენტებისთვის გაიცემოდა ფინანსური დახმარება და აქვე განმარტა, რომ წარმოდგენილი წინადადება მისთვის იდეის მხრივ იყო მოსაწონი, თუმცა ამ წლის ბიუჯეტში შესაბამისი ფინანსური რესურსი არ იყო და ამის გამო მიზანშეწონილად მიაჩნდა საკითხი მომდევნო წლის ბიუჯეტით ეფიქრათ უფრო უკეთესი ვარიანტით.

რომან დავითაძემ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ საკითხზე, რომელზეც ამ წლის ბიუჯეტიდან ფინანსური რესურსის გამოყოფა ვერ მოხერხდებოდა, მისი მიღება მიზანშეუწონლად მიაჩნდა.

მომხსენებელმა დავით სირაბიძემ აღნიშნა, რომ პარტია „ქართული ოცნება" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2014 წლიდან არის უმრავლესობით წარმოდგენილი, თუმცა მსგავსი ტიპის პროგრამა დღემდე არ დამტკიცებულა. მისთვის დაუჯერებელი იყო ის ფაქტი, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმდინარე წელს ასსამოცდათხუთმეტი ათასი ლარი გამონახა იმისთვის, რომ შეეძინა სამი ახალი ავტომობილი (ორი დასტერი და ერთი პიკაპი) და როგორ შეიძლებოდა მერიას ვერ გამოენახა ფინანსური რესურსი, რომ მათ მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტით წარმატებული სტუდენტებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწიათ.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ავტომობილების შეძენასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მერიის სამსახურებს თავიანთი უფლებამოსილების განსახორციელებლად ესაჭიროებოდათ ტრანსპორტი, რადგანაც მერიის გარკვეული სამსახურების სარგებლობაში მყოფი ავტომობილები ამორტიზირებული იყო, ამიტომაც მოხდა მათი ახლით ჩანაცვლება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5 (დავით სირაბიძე, შორენა კარანაძე, მინდია არძენაძე, ჯემალ დავითაძე და გოჩა ჟღენტი)

წინააღმდეგი - 13

დაადგინეს: არ იქნას მიღებული განკარგულების პროექტი.

(განკარგულება №გ-95.95222733, 30.09.2022 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 11:55 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**